ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01192252502**
თარიღი: **13/08/2019**
პინი: **4170**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური'') განიხილა თქვენი 2019 წლის 06 აგვისტოს #60-01192181988 წერილი და AR1698012 განაცხადებით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე ირაკლი ლაზარიაშვილის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, ქ. თბილისში, ი. ცურტაველის ქ. #15-ში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს.კ. #01.18.04.014.005) (სზ-3) III კლასის ობიექტის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებების შეტანის ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა შენობის ახალი განთავსების სქემით და მასზე მწვანე ნარგავებით) და განმარტებითი ბარათის თანახმად პროექტის განხორციელებას ხელს უშლის დამატებით ტერიტორიაზე არსებული 1 (ერთი) ძირი აილანთუსი (#15-11.3სმ). განმცხადებლი ითხოვს ხის გადარგვას.

გაცნობებთ, **სამსახურმა, რომ იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება,** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის'' მე-3^1 თავის 27^4-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა, სადაც დადასტურებული იქნება ხის გადარგვის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური პოზიციას დააფიქსირებს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი